ქულები თანაბრად გაიყვეს

დონეცკი. “შახტიორის” სტადიონი. 20 ოქტომბერი.

“შახტიორი” (დონეცკი) – “დინამო” (თბილისი) 1:1 (1:0).

“შახტიორი”: დეგტიარიოვი, იარემჩენკო, იურეცკი, გორბუნოვი, პიანიხი, ვანკევიჩი, ვასინი, სოკოლოვსკი, სტარუხინი, დუდინსკი, საფონოვი.

“დინამო”: გაგოშიძე, მჭედლიშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. მაჩაიძე, ესებუა.

მსაჯი: ე. შკლოვსკი (მოსკოვი).

დუბლიორები – 1:1.

ტრადიციულად ცნობილია, რომ თბილისის დინამოელებს მუდამ უჭირთ თამაში დონეცკში. სიტყვა “უჭირთ” შეიძლება ამ შემთხვევაში ვიხმაროთ იმ გაგებით, რომ “შახტიორი” შინ მაქსიმალურად მობილიზებულია ხოლმე დინამოელებთან საბრძოლველად და ხშირად მიუღწევია წარმატებისთვის მაშინაც კი, როცა თბილისის “დინამო” ლიდერთა შორის იყო და საპრიზო ადგილზე აცხადებდა პრეტენზიებს. ახლა კი, თბილისელთა ამ უაღრესად მარცხიან სეზონში, მასპინძლები 2 ქულის აღების იმედით გამოვიდნენ მინდორზე. მით უმეტეს, რომ გამარჯვება გუნდს ლიდერთა ჯგუფთან მიახლოების რეალურ შანსს უქმნიდა.

მატჩის დასაწყისი “შახტიორის” ტერიტორიული უპირატესობით აღინიშნა. აქტიურად მოქმედებდნენ შეტევისას სტარუხინი, საფონოვი, მათ ნახევარდაცვის ხაზიდან რეგულარულად ეხმარებოდა სოკოლოვსკი. დინამოელთა დაცვას და მეკარე გაგოშიძეს თვიდანვე გაუჩნდათ სამუშაო.

მე–18 წუთზე ერთ–ერთი კონტრიერიშისას ესებუამ ძნელი მდგომარეობიდან დაარტყა დეგტიარიოვის კარში, მაგრამ ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს.

ანგარიში გაიხსნა 22–ე წუთზე. მეშახტეთა მორიგ შეტევაში კვლავ ჩაერთო სოკოლოვსკი, მიიღო სტარუხინის გადაცემა და ზუსტად დაარტყა.

ამ გოლის გაქვითვას თბილისელებმა ბევრი დრო მოანდომეს. მართალია, პირველ ტაიმში ინიციატივა მეტწილად მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ შესვენების შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. “დინამო” გადავიდა ხანგრძლივ, საფუძვლიან იერიშზე. მარჯვენა ფრთაზე კარგად ითამაშა გუცაევმა, ნახევარდაცვის ხაზიდან ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს გავაშელი, ასათიანი. ვრცელ ტერიტორიაზე მოქმედებდა მ. მაჩაიძე.

“შახტიორი” დიდხანს ახერხებდა საკუთარ საჯარიმო მოედანზე შექმნილი კრიტიკული მდგომარეობიდან თავის ხსნას, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ შეძლო გამარჯვების შენარჩუნება. 71–ე წუთზე შეტევაში ჩაერთო ხურცილავა და დაახლოებით 35 მეტრიდან საშინელი ძალით დაარტყა კარში. დეგტიარიოვი უძლური იყო – 1:1.

დარჩენილ დროში თამაში ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. ორივე გუნდის მცველებმა თავგამოდებით ითამაშეს და ანგარიშიც აღარ შეცვლილა – მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

ბ. სტრელკო. (ტელეფონით).

“ლელო”, 22 ოქტომბერი, 1974 წ.